საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა კარტია ოთხშაბათი 9 ივლისი 1919 წ. კრიტიკასაკენ თვალი ქვეშნისა, შეგვრთდით!

პროლეტარი

ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა კარტიის ფენტრალური კომიტეტისა.

ფასი 1 შაბ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადებანი ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე შერთხეზე — პეტიტის სტრიქონი—2 მან. [illegible] განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ღრმად დამწუხრებულნი დედა კატო, ძმები: დომენტი, არსენ და ილიკო, რძლები ფედოსი და ელენე, ძმის შვილები ნინა, გიორგი და კლავდია უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, მათთვის დაუვიწყარ

სიმონას და სევას

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომლებიც თათრებთან ბრძოლის დროს ბათუმის ფრონტზე გასულ წელს იქმნენ დახოცილნი. (2—2)

მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ელპიტი, რძალი მარუსი, შვილები: დათიკო, ფადიკო, ირაკლი და სევერიანე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ქ. ლანჩხუთში ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

გესარიონ გრიგოლის ძე ღულაძე

დაკრძალვა ხუთშაბათს 10 ივლისს ნაშუადღევის 2 საათზე წმინდა გიორგის ეკლესიაში ქალაქ ლანჩხუთში. (2—1)

დამწუხრებული მამა გიორგი ლევანის ძე, დედა ანნა ფრიდრიხის ასული, ბიძები: გერასიმე, კოლია და მიშა ლევანის ძეხი მელაძეები თავიანთი ცოლ-შვილით, მამიდა ბაბილინა სადჯაია მეუღლით და შვილებით, მამიდას შვილი ილიკო ბარაბაძე და მეუღლე ჟორჟი ივანეს ძე ვარაბიოვი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

ვერა გიორგის ასული მგელაძე-ვარაგიოვისას

გამოსვენება ოთხშაბათს დილის 9 ს. კანონირის ქ. № 1. დასაფლავება წმინდა ნინოს ეკლესიის გალავანში.

გულდამწვარი შვილები პავლე, გრიგოლ და ლავრენტი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავის უძვირფასესი მამის

ტარასი მაჭავარიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოდან 9 ივლისს საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა კვირას 13 ივლისს (ძველი სტილით 30 ივნისს) ს. საქარიქედში. პანაშვიდი დღეს და ხვალ საღამოს 6 საათზე რკინის გზის საავადმყოფოს ეკლესიაში.

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ჯიბო გრიგორის-ძე, ძმები: ვასო, შალვა, კ—წ—, კოლია და შურა,, დიდედა ანანო გველესიანისა, დეიდები: პელო გვარამაძისა, დარო ჭკვალიაშვილისა და ოლინკა კიკნაძისა და ბიძა იაგორა გრ. გოგიშვილი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ჩვენი საყვარელი და დაუვიწყარ

ალექსანდრა ჯიბოს ასულის გოგიშვილი-გველესიანის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გარდაიცვალა 5 ივლისს. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 10 ივლისს სოფელ შროშაში. (2—1)

ფინანსთა დეპარტამენტის სახაზინო ნაწილის გამგე ალექსანდრე სიმონის ძე ვაშაკიძე, მეუღლე მისი ლიუდმილა ვლადიმერის ასული ვაშაკიძის და შვილები მათა ნიკოლოზ და ემილია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

ირინე (მზეხა) ოკროპირის ასული ვაშაკიძისა

გამოსვენება თფილისის რკინის გზის საავადმყოფოდან (ანდრეევის ქ. № 101) 9 ივლისს ნაშვადღევის 4 საათზე. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

გულდამწვარი ქვრივი სალომე ტარიელის ასული, შვილი გრიგოლი მიხაილის ძე და დედა მარიამი იორდანეს ასული გაბუნიები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას პირველი მეუღლის, მეორე მამის და მესამე შვილის ძვირფასი

მიხეილ დიმიტრის ძის გაგუნიასი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 10 ივლისს ს. მცხეთაში დილის 10 საათზე.

პარტიული მუშაობისათვის

თუ ქართველი ხალხი დღემდე ასცდა ფიზიკურ გაქელ ტას და ყოფილ რუსეთის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე მხოლოდ მან შეირჩინა შედარებით სრულიად თავისუფლება და დიდი რევოლიუციის მონაპოვარნი, ამის ერთი მთავარ მიზეზთაგანია სოციალდემოკრატიულ პარტიის ძლიერება ჩვენში, ამ პარტიის ორგანიზაცია. ჩვენი პარტია ღრმად ჩასწვდა ხალხის გულს და მისი ჭეშმარიტი მესაიდუმლე გახდა. და პარტიის ავტორიტეტმა და გავლენამ იხსნა ქართველი ხალხი როგორც ბალშევიკურ ექსპერიმენტებისაგან, ისე ნაციონალისტურ ექსცესებისაგან.

მაგრამ ყოველ მოვლენას ორი მხარე აქვს და შეცვლილ პირობების მიხედვით ხან ერთი მხარე იჩენს თავს, ხან მეორე.

რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციებს მოუხდათ ქვეყნის მართვა-გამგეობის ხელში აღება, რადგან იმ დროს არ მოიპოვებოდა ძალა, რომელიც ძველ დახავსებულ წყობილებას შეებრძოლებოდა და იმავე დროს ხალხის ფართო მასის სამსახურს დაისახავდა მოქმედების საგნად.

სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციების ამ მუშაობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო პროლეტარიატისათვის, არამედ მთელი ერისათვის. მხოლოდ სოციალდემოკრატიულ პარტიის სწორმა ტაქტიკამ შესძლო ცხოვრების ახალ ფორმების უმტკივნეულოდ დამყარება და სამოქალაქო ომის საშინელების თავიდან აშორება, მხოლოდ პარტიის მჭიდრო ორგანიზაციების საშუალებით ეზიარა ქართველი ხალხი ახალ ცხოვრებას, ახალ სამოქალაქო ურთიერთობას.

დღეს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, მართალია არ არის დამთავრებული, მაგრამ ერთგვარ ნორმალურ კალაპოტში მაინც არის ჩამდგარი. ამ ახალ სახელმწიფოს სახე უკვე ნათლად არის ჩვენ თვალწინ აღმართული: ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს და ამ მხრით, დემოკრატიის ბატონობის თვალსაზრისით, ჩვენ ტოლი არა გვყავს.

მაგრამ იმავე დროს ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფო არ არის სოციალისტური, არ არის განხორციელება მშრომელთა იდეალების. ის მხოლოდ ერთი ეტაპია, საფეხურია სოციალისტურ იდეალებისაკენ მიმავალი.

ამ მდგომარეობიდან პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთად ერთი დასკვნა უნდა გამოიყვანონ: ისინი მხარს უჭერენ ჩვენი მთავრობის მუშაობას საერთოდ, მაგრამ იმავე დროს აწარმოებენ წმინდა პარტიულ მუშაობას, აძლიერებენ არსებულ ორგანიზაციებს და ქმნიან ახალთ იქ, სადაც ასეთი ჯერ კიდევ არ არის. პარტიას აქვს თავისი განსაკუთრებული ხაზი, როგორც ცენტრალურ სახელმწიფოებრივ მუშაობისადმი, ისე ადგილობრივ თვითმართველობის მიმართ. ის ყოველ დადგენილებას, ყოველ ნაბიჯს სახელმწიფოებრივ ორგანოებისას პარტიულ თვალსაზრისით აშუქებს, უშლის ხალხის ფართო მასას მომავლის სურათს და უჩვენებს არსებულის აუცილებლობას.

აღნიშნული საერთო ხაზი ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს პირდაპირ, უმეშვეოდ არ ჩაერიონ მართვა-გამგეობის საქმეში: დემოკრატიას უკვე ყავს დემოკრატიულის გზით არჩეული ორგანოები და პარტიის ჩარევა ამ ორგანოების მუშაობაში, გარდა იმისა, რომ შლის და ადუნებს ამ უკანასკნელთ, დეზორგანიზაციას ახდენს თვით პარტიულ მუშაობაში, პარტიულ ორგანიზაციებს აშორებს მათს პირდაპირ საქმეს და დანიშნულებას.

დროა გაიხსენონ ჩვენმა ამხანაგებმა რომ დემოკრატიულ თვითმართველობების საქმეში ჩარევა, კომისრების დაყენება-გადაყენება, იარაღის ჩამორთმევა-მიცემა და სხვა ასეთი წმინდა ადმინისტრატიული ფუნქციების ხელში აღება, არ არის პარტიული მუშაობა, არამედ პარტიის დანგრევა და გაბიაბრუება.

ჩვენ ვიცით, თუ რა ძნელია რუტინისაგან თავის დახწევა, ვიცით რომ ორი წლის საელექტროფიზიკოლოგიო მუშაობამ იქნა ორგანიზაციებში შექმნა ერთგვარი ფსიხოლოგია. განსაკუთრებით ძლიერია ეს ფსიხოლოგია პროვინციებში.

და ჩვენი მოწინავე, შეგნებული ამხანაგების ვალია ხელი შეუწყონ პარტიულ მუშაობის გამოცოცხლებას და შეცვლილ პირობების მიხედვით პარტიულ მუშაობის სხვა გზით მიმართვას.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მარქსისტული განვითარება და სწორი ალღო შეაძლებინებს ჩვენს ორგანიზაციებს თავის ისტორიულ მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

მოაწყვეთ და გაამაგრეთ პარტიული ორგანიზაციები, გააძლიერეთ მათში პარტიული მუშაობა და უკუაგდეთ ადმინისტრატიული მოღვაწეობა.

გაკვრით

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებამ გამოიწვია საჭიროება საკუთარი სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნისა. განახლებულ საქართველოში, უეჭველია, უნდა განახლებულიყო მმართველობის აპარატიც, რათა ამ გზით მთავრობას და მის ორგანოებს საშუალება მისცემოდა ხალხთან დაახლოვების, მასთან მჭიდრო კავშირის დაჭერის და თავის მოქმედება-განკარგულებათა ცხოვრებაში გატარების. ეს კი შეუძლებელი იყო ისე, თუ ქართული ენა არ იქნებოდა გამოცხადებული სახელმწიფო ენათ. ასეც მოხდა და ეს სრულიად ბუნებრივი და აუცილებელი იყო. ამ ნიადაგზე, როგორც გვახსოვს, დიდი განგაში ატეხეს იმათ, ვისთვისაც ნაციონალიზაციის საკითხი იმავე დროს სამსახურის საკითხიც იყო. ამიტომ მათ ამხედრებას, მიუხედავათ მაღალი ფრაზებისა, არ ქონდა გასამართლებელი პრინციპიალური საბუთი.

ნაციონალიზაცია თავის თავად გამომდინარეობდა შექმნილი პირობებიდან და მისი ცხოვრებაში გატარებაც ენერგიულად უნდა მომხდარიყო. მაგრამ აქ იყო საჭირო ერთგვარი სიფრთხილე და ტაქტი, რომ ეს ძირითადი ცვლილება რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გატარებულიყო და სრულიად აუცილებელი ზომა აბსურდამდე არ მიგვეყვანა.

სამწუხაროდ აქა-იქ ამ ნიადაგზე მრავალ კურიოზებს აქვს ადგილი. ყოფილმა გზათა სამინისტრომ მაგალითად საქმის წარმოებასთან ერთად მოახდინა წარწერების გაქართულებაც და ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა. ყველა სადგურებს, საპირისფარეშოებს რუსული წარწერის მაგიერ ქართული გაუკეთა. სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენი რკინის გზა სატრანზიტო გზაა, მრავალი ქართულის არა მცოდნე მოგზაურობს და ენის [illegible] ნარობით უხერხულ მდგომარეობ[illegible] ბიან. და ეს მაშინ, როცა არავითარი სახელმწიფოებრივი ინტერესი არ მოითხოვს, რომ მგზავრმა არ იცოდეს რომელ სადგურზეა, ანდა მამაკაცის საპირფარეშოს ნაცვლად ქალების საპირფარეშოში შევიდეს.

ასეთივე ტენდენციით გაიმსჭვალა თფილისის ქალაქის თვითმართველობაც. ის შლის ქუჩების რუსულ წარწერებს და აწერს სახელებს ქართულად. შეუცვალა ქართულად სამარშრუტო წარწერა ტრამვაის და მით მგზავრები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა.

თფილისში მრავალი მოქალაქეა, რომელმაც ქართული ენა არ იცის და ასეთი წვრილმანი რამეემი იწვევს მათში უკმაყოფილებას. ამ უკმაყოფილებას ადვილათ აიცდენდა თვითმართველობა, რომ მას ქართულ წარწერასთან ერთად რუსულიც დაეტოვებია. ამითი არც ნაციონალიზაცია იქნებოდა შელახული, მგზავრებიც არ ჩავარდებოდნენ უხერხულ მდგომარეობაში და ზედმეტი უკმაყოფილებისათვისაც ნაკლები საბაბი ექნებოდათ.

პოლიტიკური ტაქტი გვიკარნახებს ასეთი წვრილმანებით კიდევ უფრო არ გავამძიმოთ ჩვენს გარშემო შექმნილი ატმოსფერა.

განი.

მუშათა წერილები

რეაქცია შიგნით და გარეთ.

მიუხედავათ მუშათა კლასის პოლიტიკური ბატონობისა ჩვენში, რაც დრო გადის, ეკონომიურად მუშათა მდგომარეობა უარესდება. ამ მოვლენას ჩვენი მტრები სადემაგოგიოთ იყენებენ და მით ცდილობენ მიზანს მიაღწიონ, ზოგიერთა გულუბრყვილონი ააცდინონ ნაცად სწორ გზას, რომელსაც ჭეშმარიტათ მივყევართ შრომის სამეფოში და გადასჩეხონ ანარქიის მორევში...

ზოგნი ურჩევენ მუშებს და გლეხებსაც გახდნენ „ბალშევიკები“, რაიც თურმე ერთბაშათ გააბედნიერებს ყველას და დღესვე დაამყარებს სოციალიზმს!

სხვები უფრო შორსაც მიდიან. ადარე ბენ-რა ღღევანდელს ჩვენს მდგომარეობას ნიკოლოზის დროინდელს, უპირატესობას აძლევენ დენიკინს, რომელიც განსახიერებაა ძველი თვითმპყრობელობის და, რომლის გაბატონება საქართველოში თურმე თავზედ საყრელათ მოგვცემს—თეთრ პურს და სხვა მრავალ ბედნიერებას.

სამწუხაროდ, იმის მაგივრათ, რომ შეებრძოლოთ და ავლაგმოთ ასეთი ვაჟბატონები, ზოგიერთი გზააბნეულებში ასეთი პროვოკაცია იწვევს თანაგრძნობას. მართალია, დღეს მუშათა ეკონომიური მდგომარეობა აუტანელია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ასე არ არის მარტო ჩვენში.

აქ არ გამოვუდგებით იმ მიზეზების ჩამოთვლას, რომელთაც ასე ულმობელათ დასცეს და გაანადგურეს მრავალ წლობით შექმნილი კულტურა და წარმოება. ვფიქრობ, რომ ეს ყველასათვის ნათელია და თუ ისეთ მძლავრ და კულტურულ სახელმწიფოში, როგორიც გერმანიაა, ხალხი შიმშილით ქუჩებში იხოცება, ვამბობ: ბარაქალა იმ ქვეყნის მესვეურთ, რომელთა საღმა პოლიტიკამაც საქართველოს დემოკრატია იხსნა აუცილებელ ფიზიკურ განადგურებისაგან და შესძლო შეენარჩუნებინა რევოლიუციით მონაპოვარნი. დღეს, როდესაც საჭიროა გაასკეცებული ენერგიით მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე და შევუერთოთ ჩვენი ხმა საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლის ყიჟინას. როდესაც ასე მიუახლოვდით ჩვენს საბოლოო მიზანს, ამ დროს წუწუნი, რევოლიუციის მონაპოვართადმი გულ-გრილობა და ბრძოლაში უკან დახევა, ეს ისეთი ბოროტება და დანაშაულია, რომელსაც მომავალი თაობა და ისტო-

დღეს

პარიზში მოელიან გენ. დენიკინის წარმომადგენლებს, რომლებიც საფრანგეთის მთავრობას გააცნობენ რუსეთის სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას.

სამხრეთის ფრონტზე ბალშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარმა დენიკინის შეტევა შეაჩერა. იწყება ბრძოლა ხარკოვის და ეკატერინოსლავის დასაბრუნებლათ.

ურალის ფრონტზე საბჭოთა ჯარმა დაიკავა მოტივილოვის ზარბაზნების ქარხანა.

ბალშევიკების ცნობით იტალიაში გაფიცვებია. ფიუმეში შეტაკება მოხდა იტალიის და საფრანგეთის ჯარებს შორის.

იტალიაში ახლად შემდგარმა ნიტტის მთავრობამ ცენზურა გააუქმა და ჯარის დემობილიზაცია დაიწყო. ახლო ხანში ამნისტიის დეკრეტს გამოაქვეყნებენ.

რია არავის და არასოდეს არ აპატიებს!

ეს კარგათ უნდა დაიხსომოს ყველამ! მე მრწამს, რომ გმირი, რა გინდ გაჭირვებას განიცდიდეს, სულით არ დაეცემა და საქართველოს პროლეტარიატი და დემოკრატიაც ხომ იგივე გმირია რევოლიუციისა!

ჩვენ ვერ შეგვაშინებს გარედან მოსულ რეაქცია!.. ის საშიშია მაშინ, როცა თვით ხალხში, დემოკრატიაში დაიბადება ასეთი. ეს იციან ჩვენმა მტრებმაც, და აი, თქვენ დღეს ნახავთ ბევრს ქუჩის მაწანწალებს სხვადასხვა ჯურისას, რომლებიც დაძრწიან ხალხში და ცდილობენ შეიტანონ უიმედობა, სასოწარკვეთილება და მით ნიადაგი მოუმზადონ რეაქციას. ჩვენი, განსაკუთრებით მუშების, ვალია კარგათ გავუსინჯოთ კბილები ასეთ ვაჟბატონებს, სინათლეზე გამოვიტანოთ მათი შავი ზრახვანი და შესაფერი ადგილი მივუჩინოთ!..

კმარა ლოიალობა და თავზედ ხელის მოსმა! დროა ყველა მოღალატემ იგრძნოს, რომ საქართველოს დემოკრატია, რომელმაც უთვალავი მსხვერპლი გაიღო უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში, არავის არ ააგდებინებს თავს აბუჩათ!.. დღეს განსაკუთრებით ბევრნი, ვითომდა გულშემატკივარნი, უჩნდება ჩვენს დემოკრატიას, მაგრამ ჩვენ, რომელთაც სათავეში [illegible] ლილნი ჩვენივე აღმზრდელნი, ასე ადვილათ არ წამოვეგებით „ვილაცეების“ გადმოსროლილ ანკესზე. ნათქვამია: „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“-ო.

ვ. ვაშაკიძე.

შრომის ნაყოფიერება რკინის გზაზე

უდიდესი ქარხანა საქართველოში თფილისის მთავარი სახელოსნოა, სადაც ამ ჟამად ირიცხება 1900 მუშა და ხელოსანი. საგულისხმოა, გავშინჯოთ, როგორ ვმუშაობდით უწინ და როგორ ვმუშაობთ ახლა, რა მიზეზებია შრომის ნაყოფიერების შემცირების და რა ზომებით შეგვიძლიან ზოგადად მაინც ვუშველოთ საქმეს.

ყველაზე ნაყოფიერი წელიწადი იყო 1916 წ., როდესაც პირველ 6 თვეს ჩვენ გამოუშვით რემონტიდან 60 ორთქმავალი, ხოლო წელს ამავე 6 თვეში გამოუშვით 26, რაიცა შეადგენს 40 პროც. უწინდელისას. მაშინაც და წელსაც მუშათა რიცხვი ერთი და იგივეა და უდრის 1900 ადამიანს. მაგრამ ამათში წელს 250 კაცი ირიცხება გვარდიაში, ხოლო 150 ორგანიზაციებში და „ოტპუსკში“. სულ 400 კაცამდე არ გამოდის სამუშაოზე. 1916 წელს გვარდია და ორგანიზაცია არ არსებობდნენ, ხოლო დროებით განთავისუფლებულთა რიცხვი 1 პროც. მეტი არ იყო. მაშასადამე, წელს სამუშაოზე გამოდის 1500 კაცი, ე. ი. 80 პროც. შედარებით 1916 წელთან და ესენიც იძლევიან არა იმდენს, რამდენიც მოსალოდნელია, ე. ი. 80 პროც. ნამუშევრისას, არამედ—როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, მხოლოდ 40 პროც. ნამუშევარს.

გამოვიკვლიოთ, რატომ შემცირებულა ამათი ნამუშავარი 40 პროცენტით? მიზეზი ორგვარია: გარეშე მიზეზები, რომლებიც მუშისგან დამოუკიდებელია, და მეორის მხრივ კი ისეთი მიზეზები, რომლებიც თვით მუშას უნდა ეკითხოს.

უმთავრესი მიზეზია საღამოობით მუშაობის მოსპობა. 1916 წელს გამუდმებით ვმუშაობდით საღამოობით, წელს კი ეს მოვლენა იშვიათია, არის მხოლოდ აუცილებელ შემთხვევებში. ამ გარემოებამ შეამცირა ჩვენი მუშაობა დაახლოვებით 15 პროცენტით.

იმ გარემოებას, რომ ახლა 9 საათის მაგიერ ვმუშაობთ 8 საათს, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან ნახევარზე მეტი ხელით სამუშაოა, ხოლო, თუ მუშამ მოიწადინა 8 საათში იმდენსვე მოასწრობს, რამდენსაც 9 საათში.

არც მასალების უქონლობაა ანგარიშში მისაღები, რადგან, თუ ერთ ადგილას გვაკლია მასალა, მუშას ამიტომ კი არ ვაცდენთ, არამედ—თითქმის ყოველთვის ვუჩენთ სხვა შესაფერ სამუშაოს.

მაშასადამე, ამ გარეშე მიზეზებმა შეამცირეს ჩვენი მუშაობა 15 პროცენტით. დარჩა კიდევ გამოსაკვლევი მიზეზი მუშაობის შემცირებისა 25 პრ. გავიხსენიოთ ის გარემოება, რომ უწინ მუშაობა ნარდათ სწარმოებდა, ე. ი. მუშა ღებულობდა იმდენ ჯამაგირს, რამდენსაც ნამდვილათ დაიმუშავებდა დღეში. ახლა მუშა იღებს გადაჭრილ დღიურ ჯამაგირს, იმისდა მიუხედავათ, რამდენს დაიმუშავებს დღეში.

დღეს მუშაობა უმთავრესათ მუშის სვინდისზეა მინდობილი. როგორც ვხედავთ, ამ გარემოებას გამოუწვევია დღიური ნამუშევარის 25 პროცენტით შემცირება, ე. ი. რასაც უწინ მუშა ასწრობდა 3 დღეში, ახლა უნდება 4 დღეს. მაგრამ ამ არა სასურველ მოვლენაში ბრალს მუშების მასსას ვერ დავდებთ სავსებით. მართალია, ჩვენ შტატების შემცირების დროს 1918 წელს დავითხოვეთ ბევრი უვარგისი მუშები, მაგრამ მაინც დარჩა მცირე რიცხვი მუშების, რომლებთაც სუსტადა აქვთ განვითარებული შეგნების და პასუხისმგებლობის გრძნობა. ესენი უფრო მეტს ცულლუტობენ და საგრძნობლათ ამცირებენ მუშაობის ნაყოფიერებას. უმრავლესობა მუშების კი, რომლებიც შტატების შემცირების შემდეგ, როგორც საიმედო ხელოსნები, სამსახურში დავტოვეთ, პირნათლათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და მათი ბრალი არ არის, რომ ისინი ფიზიკურათ ვეღარ ერევიან მუშაობას ნახევრათ მშიერ-შიშველნი.

მე ავწონე ამას წინათ რამდენიმე ხელოსანი, რომლებმაც იცოდნენ, რამდენს იწონიდნენ ომიანობამდის. თითოეულ მათგანს დაუკარგავს წონაში 10—15 გირვანქა. მუშა, რომელიც უწინ იღებდა თვეში 6 თუმნამდე, ახლა იღებს 900 მანეთს, ე. ი. უწინდელ 7 კაპეიკის მაგიერ ახლა ეძლევა 1 მანეთი. მაგრამ, ვინ არ იცის, რა ფასი აქვს ახლა ბაზარზე მანეთს და რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ მუშა გახდა, დასუსტდა და იმის მარჯვენა იმდენს ვეღარ აკეთებს, რამდენსაც [illegible]

შეუძლებელია მუშაობა საგრძნობლათ გავუმჯობესოთ ნარდათ მუშაობაზე დაბრუნებით? უკეთესს შემთხვევაში დარჩენილი მუშებით ჩვენ ავწევთ სამუშაოს მხოლოდ 25 პრ., ეს მაშინ მოხდება, როცა მუშა და მისი ოჯახი უზრუნველი გახდება, რომ პური და ლობიო მაინც საკმარისი ჰქონდეს. უამისოთ კი, ვითვალისწინებ ყველა დღევანდელ პირობებს და ვაღიარებ, რომ ნარდათ მუშაობის შემოღება რკინის გზაზე ასწევს შრომის ნაყოფიერებას არა უმეტეს 10—15 პროცენტით.

ინჟ. ე. ლუკიანოვი.

უკანასკნელი ცნობები

ყუბანი.

რას სწერენ ჩვენს შესახებ?

ჩვენს მკითხველებს კარგათ მოეხსენება, თუ რას სწერენ საქართველოს შესახებ მისი მტრები—მოხალისეთა ჯარის მსახური მწერლები და გაზეთები. ინტერესს მოკლებული არ იქნება გავაცნოთ მკითხველს, თუ რას ფიქრობს ჩვენს შესახებ ის პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც დღემდე ასე თუ ისე თანაგრძნობით უცქეროდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ყუბანში მომქმედი ეგრეთ წოდებული „სამოსტიინიკების“ გაზეთ „ვოლნაია კუბან“ (№ 134) რომელიც ითვლება საკანონმდებლო რადის ორგანოთ, შემდეგს სწერს: „საქართველოსთან და ადერბეიჯანთან ნორმალური პირობების დამყარებას ხელს შეუწყობდა წინადადება ამ რესპუბლიკების მთავრობებისადმი, რათა ისინი შეუერთდნენ ყუბანის, დონის და თერგის გადაწყვეტილებას რუსეთის აღდგენის შესახებ. საჭიროა ადერბეიჯანის და საქართველოს მთავრობებს მოეთხოვოს პასუხი, იცავენ ისინი რუსეთისაგან დამოუკიდებელ არსებობას, თუ თანახმანი არიან რუსეთის აღდგენის საქმეში დაემორჩილონ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ნება-სურვილებს. ამ კითხვაზე უნდა პასუხი იყოს: კი, ან არა. ამ პასუხიდან შესაძლებელი იქნება მათთან დამოკიდებულების გარკვევა, რაიც სრულიად მოსპობს ამ რესპუბლიკებთან სამხედრო მოქმედებას. ჩვენ სავსებით გვწამს, საქართველო და ადერბეიჯანი თავს დაანებებენ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკს და იცნობენ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას. ამ რესპუბლიკებს არავირი—არც ეკონომიური, არც პოლიტიკური ობიექტიური პირობები არ მოეპოებათ დამოუკიდებლათ არსებობისა.“

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

8 ივლისი.

ინგლისური პრესის ცნობები.

ოთხშაბათს ტულონში ჩამოვიდა და შაბათს პარიზში მოელიან რუსეთის საელჩოს, რომელიც ადმირალ კოლჩაკის ბრძანებით გენ. დენიკინმა გაგზავნა იმ მიზნით, რომ საფრანგეთის მთავრობას გააცნოს რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. საელჩოს შემადგენლობაში შედიან: დრაგომიროვი, დიპლომატიურ ნაწილის გამგე ნერატოვი, პოლიტიკურ ეკონომიის და საერთაშორისო უფლების მოსკოველი პროფესორი ასტროვი, გრაფინია პანინა, სოკოლოვი და სხ. და აგრეთვე 8 აფიცერი და 2 ყაზახი. „პტი-პარიზიენ“-ის ცნობით საელჩოს მიზანია იმის გამორკვევა, თუ რის გაკეთება შეუძლია საფრანგეთს რუსეთისათვის და კოლჩაკისა და დენიკინის შორის უფრო მჭიდრო კავშირის შექმნა. რუსეთის ახლანდელი მდგომარეობა იქ სრული წესიერების აღდგენის იმედს იძლევა. რასაკვირველია, გარკვევით ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება და ჩვენ უნდა მოველოდეთ როგორც გამარჯვებას, ისე დამარცხებას, მაგრამ თანდათან დენიკინ-კოლჩაკის ძალა-უფლება მტკიცდება და დადგება დღე, როდესაც მას მთელი რუსეთი დაემორჩილება.

ჰინდენბურგმა თავის გადადგომის შესახებ პრეზიდენტ ებერტს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „საზავო ხელშეკრულების მოწერის შესახებ ჩემ თავს მოვალედ ვსთვლი შემდეგი განვაცხადო: 1916 წლის აგვისტოდან უმაღლეს მთავარსარდლობის ყველა განკარგულების და მოქმედების და აგრეთვე კაიზერის ყველა გადაწყვეტილებათა მთელი პასუხისმგებლობა მე მეკისრება. რაც შეეხება ომის წარმოების საშუალებებს, ყველა განკარგულებები აღნიშნულ დღიდან ჩემი პირადი რჩევით და პასუხისმგებლობით იცემოდა. გთხოვთ ეს ჩემი განცხადება აუწყოთ გერმანიის ხალხს და მოკავშირეთა მთავრობას“. ფელდმარშალ ჰინდენბურგს კოლბერგიდან ჰანოვერამდე მოგზაურობის დროს ხალხი ყველგან დიდ ოვაციებს უმართავდა. ჰანოვერის სადგურზე მას შეხვდა ქალაქის მოურავი, რამაც ჰინდენბურგი ძალიან აღაფრთოვანა და [illegible] ქალაქის საჩუქრის (სახლის) გამო მადლობა გადაუხადა. ჰინდენბურგს აუარებელი ხალხი მიესალმა. თავის სახლთან ჰინდენბურგმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა: „თქვენ, ახალგაზრდებს გხვდათ წილათ ახლანდელ განადგურებული გერმანიის აღდგენა. თქვენში მაინც სცოცხლობს გერმანული სული და თქვენ ეს უნდა შესძლოთ, რათა ჩვენმა მტრებმა კი არ შეგვიზიზღონ, არამედ პატივისცემით მოგვეპყრან. ღვთის შეწევნით კვლავინდებურად დავიწყოთ ჩვენი მომავალი ცხოვრება“.

პარასკევს შესდგა ბავარიის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომა საზავო ხელშეკრულების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად. მთავრობის თავმჯდომარემ ჰოფმანმა განაცხადა, რომ მთავრობა მზადაა მიიღოს იგი და სთხოვა გამოსთქვან თავისი აზრი. ერთხმად გადასწყვიტეს ბავარიის მთავრობის და პარლამენტის სახელით ბერლინში გაიგზავნოს რწმუნებული საზავო ხელშეკრულების დასამტკიცებლად.

ბალშევიკების ცნობები

მოსკოვი. ივლისის 7. (დასაწყისი არ არის მიღებული). ფლორენციაში საერთო გაფიცვებია. ქუჩებში არეულობა მოხდა. იტალიის გაზეთები სწერენ, რომ ქალაქს რამდენიმე მილიონის ზარალი მოუვიდა. ზოგან მღელვარებამ, რომელიც პირველად სიძვირის წინააღმდეგ იყო იმართული, რევოლიუციონურ-პოლიტიკური ხასიათი მიიღო. **ბერლინი.** ივ. 30 დიუსელდორფში ისევ დაიწყო აჯანყება. **ბელოოსტროვი.** ივლის. 4. ფინეთში იაკობშტატის ნავთსადგურის მუშებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. მუშებმა გემის დატვირთვაზე უარი განაცხადეს. გემი შტრეიკბრეხერებს დაატვირთვინეს. გაფიცული მუშები დაითხოვეს. **ნაუენი.** ივლის. 6. მარშალმა ფოშმა გერმანიის მთავრობას მოსთხოვა, რომ ივნისის 23 შეწყვეტილი პოლონეთის ჯარის გადაყვანა ისევ განახლდეს. გერმანიის მთავრობამ უპასუხა, რომ რკინის გზელების გაფიცვების გამო ჯარის გადაყვანა შეუძლებელია. **ლიონი.** ივლის. 6. ერთ-ერთ მიტინგზე ჰააზემ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა, რომ ახლო მომავალში გერმანიაში ნამდვილი რევოლიუციონური მთავრობა შესდგება. გერმანიის ახლანდელი მთავრობის დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ნოსკემ ჯერ გამოსცა ბრძანება რკინის გზელთა გაფიცვების აკრძალვის შესახებ, შემდეგ კი როდესაც მუშათა დეპუტატებმა განუცხადეს, რომ ეს ბრძანება მუშებს უფრო ააღელვებს, გააუქმა. **ნაუენი.** ივლისის 4. გერმანიის ბანკის მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარე ემონტე, [illegible] კური იდეების ქადაგებისთვის დაიჭირეს, გაიქცა. ძებნამ უშედეგოდ [illegible] ივლისის 6. ცნობილმა მსწავლულმა ადვოკატურის ისტორიის ავტორმა ადოლფ ვეისნერმა თავი მოიკლა, რადგან გერმანიის დამარცხების და დამცირების ატანა ვერ შესძლო. **ნაუენი.** ივლისის 4. ფიუმეში იტალიელებს და ფრანგებს შორის შეტაკება მოხდა. **კიევი.** ივლისის 4. ხარკოვთან გენერალი დროგამიროვი მოქმედებს, ის ყაზახებს სარდლობს. **კურსკი.** ივლისის 7. კურსკის მაზრებიდან თავს იყრიან დიდ ძალი დეზერტირები. მოსულთა სულიერი განწყობილება კარგია. იტალიელები ფრანგებს ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი ფიუმეს ნავთსადგურს ბოროტად იყენებენ, სამხრეთ სლავების დასახმარებლად დიდძალ მასალის შემოსატანად. იტალიის გაზეთები აღნიშნავენ იმ უკიდურეს მეტოქეობას, რომელიც სამხრეთ სლავიაში იტალიელებსა და ფრანგებს შორის განვითარდა. **პარიზი** ივლისის 6. იტალიის სააგენტო იუწყება, რომ ნიტტის მთავრობამ ცენზურა გააუქმა და ჯარის დემობილიზაცია დაიწყო. ახლო მომავალში ამნისტიის დეკრეტს გამოაქვეყნებენ. **ნაუენი.** ივლისის 6. ბავარიის პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიამ მიიღო რეზოლიუცია, რომ მინისტრთა კაბინეტი, როგორც ერთი კაცი წარმოადგენს აღმასრულებელ ძალა-უფლებას და ქვეყნის წინაშე ერთად ერთია პასუხისმგებელი. ამ გვარად ბავარიის რესპუბლიკის სათავეში პრეზიდენტი არ იქნება. **ნაუენი,** ივლისის 4. ესტონელებმა რიგას დაუშინეს. ამერიკის მისიამ, რომელიც ლატვიაში იმყოფება გერმანიის ოფიციალურ წარმომადგენლებთან ერთად, ამის გამო ენერგიული პროტესტი განაცხადა. **ბელოოსტროვი,** ივლისის 4. ოლონეცის ფრონტზე თეთრგვარდიელთა დამარცხების ამბავმა ფინეთის ბურჟუაზია ძალიან დაამწუხარა. გაზეთების ფურცლებს ახლა აღარ ეტყობა აღფრთოვანება და აღნიშნავენ მხოლოდ, რომ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა, ან კიდევ ამა თუ იმ ადგილზე ფინეთის ჯარმა უკან დაიხია. **ადესა,** ივლისის 4. ბულგარეთიდან მოსული ცხობით, საფრანგეთის სარდლობამ ვარნაში მყოფ რუსის სამხედრო ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა. ვარნაში საფრანგეთის სარდალმა ტყვეებს წინადადება მისცა გამგზავრებულიყვენ ნოვოროსიისკში, მაგრამ ტყვეთა უმეტესმა ნაწილმა პროტესტი განაცხადა და მოითხოვეს, რომ ისინი ან ადესაში და ან სევასტოპოლში გაეგზავნათ. **ადესა.** ივლისის 4. როსტოვის გაზეთები სწერენ: საკითხი მოკავშირეების მიერ კოლჩაკის აღიარების ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არისო. პარიზის ოპოზიციონური წრეები კოლჩაკის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან. დენიკინმა მაკლაკოვის წერილი მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ კოლჩაკის სრულიად აღიარებას უმეტეს ნაწილად ხელს უშლიან ავქსენტიევი და კერენსკი. მაკლაკოვი დენიკინისგან უფრო გაბედულ მოქმედებას მოითხოვს. **მოსკოვი,** ივლისის 8. **სამხრეთის ფრონტი.** ჩვენ მილიორადოვკა და სიკროვკა დავსტოვეთ. ბორისოგლებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი მტერს უტევს. ჩვენ 700 ტყვეზე მეტი წამოვიყვანეთ. უკრაინის ფრონტზე პროსკუროვის მიმართულებით ჩვენ ზაზულინო და გრანომეი დავიჭირეთ. ეკატერინოსლავის მიმართულებით ჩვენ სუხარევკა დავიჭირეთ. ჩვენ დიევაზე შეტევას განვაგრძობთ. დასავლეთის ფრონტზე ჩვენ ნარვასთან ვუტევთ. კრასნოსელოსთან ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ბალტიის რკ. გზ. რაიონში ჩვენ კონოროვიცი, პრუდი და ლოტოსინეი დავიჭირეთ. მოწინააღმდეგემ ემერინკა დაიჭირა. ჩვენმა ჯარმა დაიჭირა პროსკუროვი. აღმოსავლეთის ფრონტზე, პერმის რაიონში ეკატერინის და კოტევის ქარხანა დავიჭირეთ. უფის რაიონში ჩვენ ბელორეცკოე დავიჭირეთ. ჩვენ მხარეზე კოლჩაკის აფიცრობა გადმოდის. **კიევი.** ივლის. 4. ხარკოვის „კრასნაია არმია“ სწერს: სამხრეთის ფრონტზე სახელოვანმა წითელმა ჯარმა დენიკინის ბრბოს შეტევა შეაჩერა. ბრბო დაჭერილ ადგილებში მკაცრათ ეპყრობოდა მუშებს და გლეხებს. ამ ჟამად ხარკოვის და ეკატერინოსლავას დასაბრუნებლათ ბრძოლაა. ყველა წითელ ჯარში. ყველა თავის დასაცავათ. **სამარა.** ივლის. 5. თეთრების მიერ უფის დატოვების წინ ადგილობრივ ციხეში 2000 კაცზე მეტი პოლიტიკური ტყვე იყო. თეთრები მათ საველე სასამართლოში ასამართლებდენ და ხვრეტდენ. **პერმი.** ივლის. 7. ავიღეთ მოტივილოვის ზარბაზნების ქარხანა, რომლის სავსებით ამუშავება შესაძლე-

ბელია. ქარხანაში ერთი მილიონ ფუთამდე ფოლადი არის. პერმში და მის ახლო-მახლო ხელთ ვიგდეთ 100,000 ფუთი ხორბალი და ფქვილი, მილიონ ფუთამდე მარილი, ათასი ფუთი ერბო, ათასზე მეტი ვაგონი და 25 ორთქმავალი. **ადესა**, ივლისის 2. დენიკინის მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ კრივოშეინი, ასტროვი და პილცი. ქალაქთა და ერობათა კავშირების წარმომადგენელთაგან დაარსეს მომარაგების კომიტეტი. კომიტეტს სათავეში ჩელნოკოვი და ბურიშკინი უდგას.

ახალი ამბები

ფრონტის დღე. დღეს, საღამოს 7 ს. მეომართა დამხმარე კომიტეტის ბინაზე, რუსთაველის უჩა, სახლი № 24, დანიშნულია ყველა წარმომადგენელთა კრება, რომელთა დასწრება აუცილებელია და რომელთაც უნდა წარმოადგინონ გეგმა იმისა, თუ რა შინაარსით ეგებებიან ამ დღეებს რაიონები.

✦ დავით ღამბაშიძის ჩამოსვლა. 6 ივლისს თფილისში ჩამოვიდა ინგლისში მყოფი საქართველოს წარმომადგენელი.

✦ ინგლისის ჯარის წასვლა. უკანასკნელ დღეებში როგორც ბაქოდან, ისე თფილისიდან მრავლათ აგზავნიან ინგლისის ჯარების ეშელონებს ბათუმისკენ. თითქმის ყოველდღე მიდის ბაქოდან თფილისით მათუმისკენ 2—3 ეშელონი. ამ გვარათვე იგზავნება ჯარები თფილისიდან. პირველ რიგში გზავნიან ინდუსებს.

✦ საქართველოს წითელ ჯვრის ბავშვთა თავშესაფარში მოთავსებული 114 მესხეთ-ჯავახეთის ობოლი ბავშვები ამ დღეებში თფილისიდან გადაყვანილ იქნენ სურამში, სადაც ისინი ქალაქ გარეთ, წითელი ჯვრის მიერ მათთვის დამზადებულ სახლებში, გაატარებენ ამ ზაფხულს.

✦ „აშხატავორის“ რედაქციის და სტამბის გახსნა. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაიხსნა ამას წინეთ დახურული გაზეთ „აშხატავორის“ რედაქცია და სტამბა.

✦ ამერიკის კომიტეტში. ახლო აღმოსავლეთში არსებული დამხმარე ამერიკის კომიტეტის თფილისის განყოფილების ინსპექტორი სთხოვს ყველა იმ პირთ, რომელთაც კი რაიმე ახსნა-განმარტება სურთ წარუდგინონ ან მიიღონ ასეთი განყოფილების რევიზიის გამო, შეასრულონ ეს ახლო დღეებში. მისამართი: ახალი ბებუთოვის ქუჩა № 2, ყოველ დღე დილის 9—4 ს. თფილისის განყოფილების რევიზია ამ ახლო ხანში დამთავრდება და რევიზორი—ინსპექტორიც გაემგზავრება.

✦ სახალხო გვარდიელების საზოგადო კრება. ოთხშაბათს, 9 ივლისს, საღამოს 6 ს. შესდგება საზოგადო კრება ვოგზლის (ტრამვაის) რაიონის სახალხო გვარდიელებისა. 1) მოხსენება შტაბის მუშაობაზე, 2) მოხსენება კომისიის და 3) მიმდინარე კითხვები. სთხოვენ ამხანაგებს უსათუოდ გამოცხადდნენ ტრამვაის პარკში.

✦ გზათა ტეხნიკოსების საგამომცდელო კომისია. გზათა ტეხნიკოსების საგამომცდელო კომისიაში შედიან საშუალო ტეხნიკურ სასწავლებლის დირექტორი ინჟ. კაკაბაძე, ამივე სასწავლებლის მასწავლებელნი: ინჟ. გრიდინი, ვარუნციანი და ივანიცკი; გზათა სამინისტროს წარმომადგენელნი: სახაზინო რკინის გზიდან, ინჟ. ლოხვიცკი და გეგიძე, გზატკეცილების ოლქიდან ინჟ. ჩეხოევი და კახეთის რკინის გზიდან ინჟ. გრიგორაშვილი. შემდეგი გამოცდები შესდგება ხუთშაბათს, 10 ივლისს, დილის 10 ს. საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში, დიდი მთავრის ქ. № 70.

✦ ახლათ დაარსებული მე-7 რაიონული კოლექტივის პრეზიდიუმი სთხოვს ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც შედიან მე-7 რაიონულ კოლექტივში გამოცხადდენ და მიიღონ ახალი საწევრო ბარათი. კოლექტივი ღიაა დილის 9 ს. 1 ს. საღ. 5—7 სათამდე. გარდა კვირა დღისა.

✦ საგარეო საქმეთა სამინისტრომ უცხოეთიდან მიიღო წერილები შემდეგ პირთათვის გადასაცემად: 1) წერეთელი ელისაბედი, 2) მაჩაბელი მ. ლ., 3) ანანოვი მ. ა. 4) დგებუაძე ელენე, 5) ხაუსტოვისა ე. გ. 6) მაიჩინა ხ. ნ. 7) კატრინი, 8) შამონიანც ბაგრატ, 9) ანტონოვა მარიამ მიხ. 10) გრიქუროვი მიხაილ, 11) ინბურგ ნატალია რომ. 12) 13, 14,) ბარაზიშვილი, 15) ფრანჩესკო ოლ. 16) თ-დ მაჩაბელი მ. ლ. 17) ანტონოვა. მ. ბრემერისთვის, 18) ანტონოვი, 19) გუბატოვი, 20) ისრაელიანცი, 21) რემფელ სულატა. 22) ბოტკინ მიხაილ, 23) იზრასცოვა ელენე, 24) ციციშვილი, 25) ფილიპოვი (კისლოვოდსკი) 26) ექიმ ფონტოევი, 27) სტიუარტილიდია, 28) ბელხი სარონი, 29) ვოლფი ელისაბ. 30) ოტკოპაევი ფრ. 31) სეკავინა ლილი) სოჭა 32) გარდაჩიკოვა ბელა, 33) 34, ძმ. კოტარიები და 35) სტიუარტი ლიდია.

✦ ჯარის სახალხო უნივერსიტეტი. დღეს, საღამოს 7 საათზე სანაპირო რაზმის შტაბის შენობაში, ბროსეს ქუჩა, დანიშნულია მორიგი ლექციები: 1) ექ. ტურიაშვილისა „ჰიგიენა“; 2) ინჟ. ალშიბაიას „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და მისი დამცველნი“.

კრებები

ოთხშაბათს, 9 ივლისს, საღამოს სრულ 5 ს. შესდგება პირველი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტ. ორგანიზაციის საერთო კრება.

— 10 ივლისს, საღამოს 7 ს., საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში (დიდი მთავრის ქ., № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საერთო კრება. განსახილველი საგანია: სტუდენტების საზღვარ-გარედ გაგზავნის საკითხი. დასწრება წევრთათვის სავალდებულოა. საჭიროა დაესწრონ სხვა საზოგადოებათა წევრნიც ამ საკითხით დაინტერესებულნი.

მესხეთ-ჯავახეთში

მგზავრის დღიურიდან.

2 ივლისი.

ლამაზი მთა-გრეხილები ძველი მესხეთისა, თოვლით მოსილი მთის კორტოხები არტაანფოცხოვისა, მიმზიდველი ხეობები ჯავახეთისა ნისლით დაბურულიყო და მგზავრის წინაშე აღარ იშლებოდა ის მშვენიერი სანახაობანი, როგორიც ეს მზიან და მოწმენდილ დღეებს სჩვეულიათ.

ვისაც წინეთ უმოგზავრია ამ მხარეში, ის ახლა დიდ განსხვავებას ხედავს და ჩვენ ვგრძნობდით იმ განცდილ დღეების დაუნდობელ სიმუხთლეს, რომელიც ცხოვრების დროთა ბრუნვამ თავს დაატეხა ისტორიულათ წამებულ კუთხეს.

ერთი და იგივე ჩივილი, ერთი და იგივე კვნესა-მუდარა, გვესმოდა და გვესმის განწირულთა მხარეში.

გუშინ, გუშინწინ ბევრი რამ ვნახეთ, მოვისმინეთ, გავიგონეთ. ხან დაღონებას ეძლევი, ხან ცრემლები გეწვევა, ხან იმედიანობის სხივებიც გადმოგვხედავს.

ძნელია განწირულთა მხარეში ნახულის გადაცემა სხვებისათვის. მგზავრის სულიერი ტანჯვა, სულიერი დასჯა.

შუადღე იყო, როცა ჩვენთან ცხრა მაჰმადიანი შემოვიდა. ამათში ორი ახალგაზრდა იყო. სამი, ასე 65—75 წლის მოხუცი, დანარჩენნი საშუალო წლოვანების, ჭაღარანი. მათ სახეებზე ღიმილი არ ჰქრთოდა. დაღონებულნი იყვნენ და ყველას ეტყობოდა ცხოვრებისადმი უკმაყოფილება.

ისინი ჩვეულებრივი სიდინჯით მოგვესალმენ.

— სადაური ხართ თქვენ?—შევეკითხეთ.

— ჩილდარის საზოგადოებისა, გვიპასუხა მოხუცმა მაჰმადიანმა.

— ახალციხის მაზრიდან?

— არა, არტაანის ოლქიდან, ზურზუნას „უჩასტკიდან“.

— რა გვარი ბრძანდებით?

— ამიდ ფ—ოღლი, მოგვცა ყველაზე უხნესმა პასუხი.

სულ ყველამ თავიანთი სახელი და გვარი სთქვეს და თან პირადობის დოკუმენტები გვიჩვენეს.

— რისთვის მოხვედით, რა გაწუხებთ?—შევეკითხეთ.

მათ მოსვლის მიზეზი დაგვისახელეს. ჩვენ ზომების მიღება აღვუთქვით.

— რა ამბავია თქვენს სოფლებში?

— დავუწყე ცოტა ხნის შემდეგ გამოკითხვა.

— სოფლებში ეხლა სიწყნარეა, მშვიდობიანობა,—მიპასუხა მოხუცმა, და განაგრძო, სოფლებში სიწყნარეა, მაგრამ სოფლებს გარეთ კი გასვლა შეუძლებელია, არტაანის ტყეებში ხანახანში, ურო̀ში, ტიკანში ყაჩაღები ჯგუფ-ჯგუფათ იმყოფებიან, თუ ვინმეს გაუცდა ფეხი, გაძარცვავენ და მოჰკლავენ. მგზავრობა მთებში და ტყეებში შეუძლებელია.

— ადმინისტრაცია. მცველები არა გყავთ?

— ადმინისტრაცია არ ყოფილა, არც ეხლა არის. მცველები და პატრონი არავინაა.

— აოდაგანის მთავრობა ყურადღებას არ გაქცევთ?

— არდაგანის მთავრობა ჩვენ არ ვიცით. არდაგანს მოვშორდით. პურს და სურსათს მოითხოვენ იქიდან.

— როგორ მოშორდით არდაგანის მთავრობას?

— იქ აღარაფერი საქმე არ გვაქვს, ჩვენი მთავრობა აღარ არის.

— როგორ, არდაგანში მთავრობა აღარ არის?

— არის, მაგრამ სომხების მთავრობა. ჩვენ რა საქმე გვაქვს მათთან. არაფერი. ჩვენს ხალხს არ უნდა ასეთი მთავრობა და არც ცნობენ მას. ერთხანს ვიცდით და მერე ჰალახის საქმეა.

— კარგი, მარა რა ამბებია ეხლა არდაგანში?

— ხმები მოდის, ცუდი ამბებიაო.

— თქვენ არ დადიხართ არტაანში?

— ჩვენ კი არა, არც ერთ სოფლებიდან აღარ დადიან. ხალხმა შესწყვიტა ყოველგვარი კავშირი არდაგანთან მას შემდეგ, რაც იქ სომხების მთავრობა შემოიღეს.

— რა არის მიზეზი?

— მიზეზი ისაა, რომ ჩვენს ხალხს არ უნდა სომხეთის მთავრობა. ჩვენი ხალხი ამას ვერ შეურიგდება და კიდეც მოშორდა არტაანს. ჩვენს ქვეყანაში სხვების ჩამოსვლა ჩვენი ზნე-ჩვეულების შელახვაა და კიდევ ისეთი ხალხის გაბატონება, რომელიც ყოველ დროს მტერი იყო ჩვენი.

— სოფლებში დადიან ეხლა მოქადაგეები?

— აღარავინ დადის. ჩვენი ხალხი-კი ნაკლებ აქცევს ყურადღებას ყოველგვარ მოქადაგეს. ჩვენ, ბატონო, არც ახალციხის თავდასხმაშია მიგვიღია მონაწილეობა, არც წინეთ არდაგანის აჯანყებაში.

— ეხლა რას ფიქრობს ხალხი?

— ხალხი დაღონებულია. ოსმალეთის მთავრობამ, როცა აქ იყო, რუსის მთავრობაზე უარესი დღე დააყენა, ამ ბოლო დროს სულ აირია საქმე, აღარც მთავრობა გვყავს და აღარც გამკითხავი. მოსავალიც ნაკლები არის, გასულ წელს ოსმალებმა წაიღეს, თუ რაც გვებადა და დღეს სომხები აპირებენ წართმევას. ჩვენ ეხლა ვეძებთ სამართლიანობას და გვინდა გავიგოთ, სად ვიშოვნით მას.

— თქვენი ხალხი რას ფიქრობს საქართველოზე?

— ჩვენს ხალხში დიდი მითქმა-მოთქმაა და წუხილი, რომ საქართველო დაგვშორდა. ყველა იმას ამბობს, რომ ფუხარა (ღარიბი) ხალხის დამცველი მთავრობა ჰყავს საქართველოს, საქართველოს ხალხი კარგ პირობებშია და ჩვენ დაგვავალეს ჩვენი წყურვილი გადავცეთ ყველას, თუ კი გვიშველიან. ჩვენთვის ორ ხალხს გარდა მიუღებელია...

ისინი ჩაფიქრდნენ.

— თქვენებური ბეგები რას ჩადიან?—ცოტა ხნის შემდეგ შევეკითხეთ.

— ხშირათ შემოდიოდნენ, გვავიწროვებდნენ, ცხენებს იტაცებდნენ. ამ ბოლო დროს კი იკლო მათმა მოქმედებამ.

— არტაანში არ წახვალთ?

— აღარა,—თითქმის ყველამ ასეთი სიტყვა წარმოსთქვა. ჩვენ მოწყენილი შემოგვხედეს და მათმა სიტყვებმა ჩვენც გაგვაჩერა.

ეს მდუმარება იყო, რაღაცა გამოურკვეველი, სულიერი განცდის წუთები.

საღამოს უფრო მოეწყინა. ნელი ქუქუნა წვიმა მოდიოდა. ცივი ნიავი ჰქროდა და ჩვენ კი ადვიგენისაკენ მივდიოდით.

ობოლი მგზავრი.

უცხოეთი

სოციალისტების დევნა იაპონიაში..

კენსეკაის პარტიის წევრმა სუზიკიმ შეიტანა შეკითხვა დეპუტატთა პალატაში სოციალისტების დევნის შესახებ. სუზიკიმ განაცხადა, რომ მართალია მე არა ვარ სოციალისტიო, მაგრამ არ შემიძლიან პროტესტი არ განვაცხადო იმ დევნის შესახებ, რომელსაც განიცდიან იაპონიაში ყველა სოციალისტებიო. ორატორმა განაცხადა, რომ უმრავლესობა იაპონელ სოციალისტებისა სახელმწიფოებრივ თვალსაზრისზე დგანან და მათ მიერ გავრცელებული პრინციპები არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენენ. სოციალისტების დევნა სრულიადაც არ შენელებულა მას შემდეგაც, რაც ხარას კაბინეტი შესდგა. სუზიკი აგრეთვე აკრიტიკებს შავი სიების შედგენის სისტემას, რომელშიაც შეაქვთ საშიშარი იდეების მატარებელნი და თანახმად სიებისა, მათ ატუსაღებს პოლიცია. სუზიკიმ მოაგონა მთავრობას, რომ ამერიკაში და ინგლისში სოციალისტები არ იდევნებიან და იქ ისეთი საშინელი რევოლიუცია არ მომხდარა, როგორც ამას ადგილი ქონდა რუსეთში და გერმანიაში, სადაც სოციალისტებს საშინლათ სდევნიდნენო.

იაპონიის პარლამენტში.

8 მარტს დეპუტატთა პალატაში ირჩეოდა საარჩევნო რეფორმის კანონ-პროექტი. პროექტი შეტანილ იქნა მთავრობის და კოკუმნიტო და კონსეკაის პარტიების მიერ. არავითარი მნიშვნელოვანი განსხვავება არ იყო მთავრობის და ზემოხსენებულ პარტიების პროექტებში. ყველა პროექტები აგებული იყო ქონებრივ ცენზზე. კონსეკაის პარტია მოითხოვდა, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონოდათ საშუალო სასწავლებელ გათავებულთ. დამოუკიდებელმა დეპუტატმა მურამატსუმ სასტიკათ გაილაშქრა საარჩევნო პროექტის წინააღმდეგ. თქვენ, განაცხადა ორატორმა, მცხოვრებთა 2 აძლევთ უფლებას არჩევნებში მიიღოს მონაწილეობაო. ორატორი მოითხოვდა არჩევნების უფლება მისცემოდათ ყველა მამაკაცს ვისაც 25 წელი შეუსრულდებოდა. კამათის დასასრულს კენჭი უყარეს მთავრობის პროექტს, რომელიც 61 ხმით მიღებულ იქნა. კოკუმნიტების პარტიამ გამორიცხა თავის ფრაქციიდან 6 წევრი პარლამენტის, რომელთაც მხარი დაუჭირეს საყოველთაო საარჩევნო უფლებას. გამორიცხულმა დეპუტატებმა განცხადება შეიტანეს პარტიის თავმჯდომარესთან, სადაც ისინი აღნიშნავდენ, რომ არ მიაჩნიათ კანონიერათ კოკუმნიტოს დადგენილება და ისინი თვით ანებებენ თავს პარტიას.

ს.-დ. პარტიაში

თბილისი. 3 ივლისს, შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტისა, 2) პრეზიდიუმის წევრის არჩევა. 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) სომეხ ამხანაგების განცხადება, 5) არამიანცის საავადმყოფოში პარტიული მუშაობის მოწყობა და განცხადებები.

თფილისის კომიტეტის [illegible] ამხ. მ. წივწივაძეს. მან კოლექტივს ამცნო, რომ თფილისის კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობს პარტიული მუშაობის შესაფერ ნიადაგზე დაყენებისთვის. ამ საქმისთვის თფ. კომიტეტმა აირჩია მ. რუსია და თევზაძე. შემდეგ მომხსენებელი შეეხო თფილისის ყველა ორგანიზაციების წარმომადგენლების კრებაზე მოწვევას, პროფესიონალური კავშირების კომპეტენციას და ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში მომხდარ გამოურკვევლობას, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის უფლებანი, რომლის გამოსარკვევად თფილისის კომიტეტს აურჩევია კომიტეტის თავმჯდომარე. კოლექტივმა მოისმინა მოხსენება და შეუდგა დღიურ საკითხების გარჩევას. მესამე რაიონის კოლექტივის თავმჯდომარის ამხ. ვ. კაპანაძის ნაცვლად, ვინაიდან ის პროვინციაში იქნა გაგზავნილი სამუშაოდ, კოლექტივმა პრეზიდიუმის წევრად აირჩია ამხ. მ. სულუხია, თავმჯდომარეთ ი. ბარამაშვილი.

მოხსენება გააკეთა ამხ. ს. მურმანიძემ, სარევიზიო კომისიის წევრმა. მან ამცნო კოლექტივს, რომ სარევიზიო კომისიამ გადასინჯა კოლექტივის ინვენტარი, წიგნები—პარტიული ლიტერატურა, ფულის შემოსავალ-გასავალი უკანასკნელი ორი თვისა და აღმოჩნდა ყველაფერი რიგზე, რისთვისაც სარევიზიო კომისია კმაყოფილდება საერთო მუშაობით და შემდეგისთვის სურვილს გამოსთქვამს, რომ უფრო კარგად მოეწყოს მესამე რაიონში მუშაობა, როგორც იდეიური, ისე ფინანსიური.

კოლექტივმა განიხილა ამხ. გ. გალუსტოვის განცხადება, რომ შესდგა სომეხ ამხანაგებისაგან სექცია, რომლის მიზანია შეებრძოლონ დაშნაკურ მიმდინარეობას და მომავალ სომეხთა ეროვნულ საბჭოში გაიყვანონ შესაფერისი და სასურველი კანდიდატები. ამიტომ გალუსტოვი მოითხოვდა დახმარებას კოლექტივისას, რაიცა კოლექტივმა სიამოვნებით მიიღო და სექციას მისცა თავის მხრივ ადგილობრივ რაიონის სომეხ-ამხანაგებს სია, რომლებიც აქტიურ დახმარებას გაუწევენ არჩევნების მოწყობაში.

არამიანცის საავათმყოფოში პარტიული მუშაობის მოსაწყობათ კოლლექტივმა დაადგინა, ახლო მომავალში გაიმართოს აქ საერთო კრება ყველა მოსამსახურეთა. კოლლექტივმა მოისმინა განცხადება ამხ. იოს. ხუციშვილისა, რაიცა გამოიხატებოდა იმაში, რომ აკლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა მეტის-მეტ გულცივობას იჩენს, გამგეობა დღეს ფიქციას წარმოადგენს და ამიტომ ახალი არჩევნები უნდა მოხდეს. ხუციშვილმა მოუწოდა ამხანაგებს გამგეობის არჩევნების დღეს მრავლათ დაესწრონ ამხანაგებიო.

დასასრულ კოლლექტივმა მოისმინა განცხადება, რომელიც შეეხებოდა სასაკლაოს უფროსს ეგიკიანცს. მას სომეხთა ეროვ. სამ. არჩევნების სიები აუხევია კედლებიდან. ამის შესახებ კოლლექტივმა დაადგინა, რომ ეს ამბავი ეცნობოს მეშვიდე რაიონის ს. ს.-დ. მ. პ. კოლლექტივს, რათა მან მიიღოს შესაფერისი ზომები.

კოლლექტივის მდივანი ი. ბ—ძე.

თფილისი. 26 ივნისს შესდგა მეშვიდე რაიონის კოლლექტივის წევრთა კრება.

დღის წესრიგში შემდეგი კითხვები იყო: 1) კომისიის არჩევა ფრონტზე მყოფ გვარდიელების ოჯახების დასახმარებლათ, 2) გაზეთის მოწესრიგება, 3) მუშათა კლუბის დაარსება, 4) წარმოდგენების ხელმძღვანელობა და მიმდინარე კითხვები.

1) ფრონტზე მყოფ გვარდიელების ოჯახების დამხმარე კომისიის არჩევის შესახებ, კრებამ მიიღო ამხ. სპ. შუბლაძის წინადადება: იქნას კოლლექტივისაგან ამორჩეული 3 კაცი დამატებითი იმ კომისიისა, რომელიც ამოირჩიეს გვარდიელებმა და იმოქმედონ ერთათ.

2) გაზეთის მოწესრიგების შესახებ, კრებამ ამოირჩია ამხ. ბ. კაზაროვი და დააკისრა შემდეგი მოვალეობა: ჩამოსწეროს სია გაზეთის მსურველისა ჩვენს რაიონში და წარუდგინოს მოხსენება კოლლექტივს.

3) მუშათა კლუბის დაარსების შესახებ კრებამ დაადგინა, ამოირჩიოს კოლლექტივმა რაიონში არსებულ ორგანიზაციებში მომუშავე პარტიული ამხანაგები, და დაავალოს მათ მოაწესრიგოს კლუბის საკითხი.

მდივანი ელ. შარაშენიძე.

ვინაიდან ამხ. გერმანე მესხიშვილი ითვლება ს. ს. დ. მ. პ. მეშვიდე რაიონის კოლლექტივის წევრათ, ამისთვის მესამე რაიონის

ს. ს. დ. მ. პ. კოლლექტივი აცხადებს მესხი-შვილის საკანდიდატო ადგილს მესამე რაიონულ კოლლექტივში დღეიდან გაუქმებულათ.

კოლლექტივის თავმჯდომარეს ახანაგი

ი. ხუციშვილი.

მუშათა შორის

თფილისი. 3 ივლისს შესდგა თფილისის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა განახლებული შტატის დელეგატთა პირველი ყრილობა. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა გიორგობიანი, მდივნათ თალაკვაძე. ყრილობამ მისალმების დეპეშები გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას, საქართველოს მთავრობას და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს. დრ. აღმ. კომ. ბიუროს სახელით მოხსენება გააკეთა არ. რუხაძემ. მან აღნიშნა ის კრიტიკული მდგომარეობა, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა კომიტეტის ბიუროს. მცირე კამათის შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება აღმ. ბიუროს მოქმედების შესახებ, ყრილობა უცხადებს მადლობას და გადადის მორიგ კითხვებზე. დასასრულ არჩეულ იქნა ახალი აღმასრ. კომიტეტი 25 წევრის და ხუთი კანდიდატისაგან.

ყრილობის გაგრძელება დაინიშნა 5 ივლისისათვის, რომელზედაც არჩეული იქნა წარმომადგენლები კავშირთა საბჭოში, სარევიზიო კომისიაში, მუშათა საბჭოში სოც. დემ. ფრაქციის სიით არჩეულ იქმნენ შემდეგი ამხ.: რუხაძე, აბდუშელიშვილი, ბახტაძე, ბადრიძე, ბერეტიანი, ვასაძე, რუსია, ინწკირველი, ქარცივაძე, ლუკავა, კოჭლამაზაშვილი, კვერნაძე, გოგინაშვილი, ცირკვაძე და ლუხუტაშვილი. ყრილობამ მოისმინა გიკის მოხსენება სამოქმედო წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ, დაავალა აღმ. კომიტეტს მომავალი ყრილობისთვის წარმოადგინოს დასამტკიცებლად შესწორებული წესდება.

ეპიფ. ქანთარია.

თფ. ტრამვაი. 28 ივნისს ტრამვაის პარკის ბაღში შესდგა მრავალ რიცხოვანი საზოგადო კრება საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა (ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა). კრებაზე მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. ჯუღელმა. მოხსენება შინაარსიანი იყო. დამსწრენი დიდათ კმაყოფილნი დარჩენ მოხსენებით. №

დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართათვის.

უმორჩილესად გთხოვთ მოგვითავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში, საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის მიერ ქართულ კლუბში, ამა წლის 18 მაისს, გმართულ „საღამო-კაბარეს“ შემოსავალ გასავლის ანგარიში; გაყიდულ ბილეთებიდან შემოვიდა 7030 მ. აუქციონიდან 4679 მ. მაგიდებიდან 2450 მ., ბუფეტ. 1361 მ., 90 კ. ყვავილებიდან 400 მ. ექ. იოსებ ცინცაძისაგან 100 მ. სულ 16020 მ. 90 კ. გასავალი ანგარიშების მიხედვით—10,389 მ. 30 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა კავშირს 5631 მ. 60 კ-ამას გარდა ქართულ კლუბმა შემოსწირა კავშირს 3000 მან.

კავშირის გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭოს, ექ. იოსებ ცინცაძეს და ყველა იმ პირთ, რომლებმაც დახმარება აღმოუჩინეს კავშირს.

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ანგარიში-

კავშირის **გამგეობა.**

პროვინცია

კახეთი. ამ დღეებში კახეთიდან დავბრუნდი. მატარებელი ხალხით იყო გაჭედილი. ვუცქეროდი და სულს უხაროდა, როცა მდიდარი ბუნებით დაჯილდოებულ მოსავალს ვხედავდი: მშვენიერი ყანები, საუცხოო სიმინდები, კარგათ მოვლილი კერძო პირების ვენახი, მწვანით შემკობილი ტყე და ველი, გულს მომავლის იმედით ავსებდა. მაგრამ ეს ნეტარება სწრაფათ გამიქრა, როდესაც წარმოვიდგინე, რომ ეს უხვი მოსავალი ჩვენამდის, ალბათ, ვერც მოაღწევს და მას ნაძირალი ჩარჩები დაეპატრონებიან. მართალია, აკრძალულია ხუთ ფუთზე მეტი ფქვილის წამოღება თითო პირისათვის, მაგრამ ჩარჩი რის ჩარჩია, თუ ნემსის ყუნწში არ გაძვრება და თავის ბნელ ზრახვებს ვერ შეასრულებს. მოვიყვან მაგალითებს: სადგურ ვაჩნაძიანში და ველისციხეში მე თვით ვიყავი მოწამე ხალხის მეტ-ხორცების თავაშვებულ საქციელისა. რადგანაც თითო ბილეთით მხოლოდ ხუთი ფუთი ფქვილის წამოღება შეიძლება, სპეკულიანტები ერთი ბილეთის მაგიერ იღებენ სამ-ოთხ ბილეთს და ამის მიხედვით ეზიდებიან ზედმეტ ფქვილს. მართალია, მოსთხოვენ პატრონის გვარებს, ვისაც ფქვილი მოაქვს, მაგრამ ისინი რას ვერ მოახერხებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც მიზანს მიაღწევენ, იქვე სადგურზე ზედმეტ ნაყიდ ბილეთებსაც ყიდიან, რომ „ზარალი“ არ ნახონ. ხშირათ გაიგონებთ მათგან: „ამხანაგებმა“ ბილეთები ამაღებინეს, ვეღარ წამოვიდნენ და ვისაც არ აგიღიათ, იყიდეთო. ამნაირათ ბილეთებსაც ასაღებენ და თავის ბნელ საქმეებსაც აკეთებენ. საჭიროა ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

ამბობენ, მთავრობას კომისიაც გაუგზავნია პურის შესაძენათო, მხოლოდ ფულით ბევრს ვერაფერს იყიდის. ხალხს ესაჭიროება ქალამნები, ტანსაცმელი, საპონი, მარილი, გოგირდი (შაბიამანი ახლა დაგვიანებულია), სხვადა სხ. სამეურნეო იარაღი, ძაფი, ნავთი, ასანათი და სხვა. ვისაც უნდა პურის შეძენა, მან ყველა ესენი უნდა შეიძინოს და გაცვლით პურზე მიაწოდოს ხალხს. საჭიროა ნაწილი პურისა ეხლავე გაიგზავნოს მთაში, რომლებსაც გზა შეკრული აქვთ ძაუგისაკენ და უსანოვაგოთ სხედან. ამით ხალხიც მადლიერი დარჩება და სახელმწიფოც პურს შეიძენს. თორემ ჩვენივე პურით თეალებს დაგვთხრიან ჩვენი „კეთილის“ მსურველნი.

კაკიანთხეველი.

სოფ. დვალიშვილები. (ქუთაისის მაზრა). ეს სოფელი, როგორც კულტურულათ, ისე ეკონომიურათ დიდათ ჩამოქვეითებულია. სიმინდი ძალიან ცოტა მოდის და მუშას დიდი შრომა სჭირდება, რომ წლითი-წლობამდის თავი დაირჩინოს. ამის მიზეზი არის მიწის უარგისობა, როგორც მთა ალაგის მდებარეობა. ამ სოფელში ეტანებიან მევენახეობას, მაგრამ მიწის სიცოტავე და უვარგისობა ამასაც ხელს უშლის.

მთავრობის მიერ შემუშავებული ნორმით თუ განაწილდა აქ მიწები, მაშინ მცხოვრებლების მდგომარეობა გაუარესდება. საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს მიექცეს ამ სოფელს ყურადღება, რათა იქნეს იქ გადიდებული ნორმა მიწის, რითაც საშუალება მოესპობათ იმ უპასუხისმგებლო პირების აგიტაციას, რომლებიც წინააღმდეგი არიან ამ რეფორმის და პირდებიან ხალხს უფასოთ მიწის დარიგებას, რამდენსაც ისინი მოისურვებენ.

ერასტი დვალიშვილი.

ს. თვალივში (დუშეთიდან 20 ვერ.) შუადღისას დუშეთის მაზრაში მოთარეშე ყაჩაღები, რიცხვით 30 კაცი, თავს დაესხა გიორგი შანიძის მაღაზიას. ასტეხეს საშინელი სროლა. დაატუსაღეს ადგილობრივი გვარდიელები და იარაღი აჰყარეს. შეუდგნენ რბევას. არ დაინდეს მოხუცი დედაკაცი და სცემეს. წაიღეს იარაღი, ფული, თვით შანიძის სამ ცხენს აჰკიდეს ფართალი და რის წაღებაც კი შეიძლებოდა, რაც ვერ წაიღეს, იქ მყოფ ხალხს დაურიგეს და გაუდგნენ სოფელ ხორხისაკენ. მსხვერპლი არაა. ზარალი 100,000 მანეთამდეა.

დუშეთის მაზრაში მოთარეშე ყაჩაღები თავზარსა სცემენ მკვიდრთ, სამხედრო გზაზე ხშირად სცარცვენ ავტომობილებს, იტაცებენ ქალებს, აწიოკებენ ხალხს და სხვა. მილიცია მათთან ბრძოლაში უძლურია.

თუ მალე ბოლო არ მოეღო მათ თარეშს და მთავრობამ სასტიკი ზომები არ მიიღო, გათამამებული ავაზაკები მეტ ამხანაგებს შეიძენენ. საჭიროა სასტიკი ზომების მიღება.

გ. შანიძე.

სამედიატორო სასამართ. განაჩენი

(ალექსანდრე დევდარიანის საქმე).

გაზ. „ერთობის“ 33 ნომერში მოთავსებული იყო წერილი, რომელშიაც ალექსანდრე დიმიტრის ძე დევდარიანის წინააღმდეგ შემდეგი ბრალდება არის წამოყენებული: „იმ ქარხანაში, სადაც ა. დევდარიანი მუშაობდა, მანქანების განყოფილებაში დაიკარგა რამდენიმე ფუთი მანქანების ზეთი, რკინა, სპილენძის მავთულები, პაკლი, ბაწარი, ფოლადი და სხვა. ეს ეცნობა მუშებს, მუშებმა იმავე დღეს აირჩიეს კომისია. ბევრი ძებნა არ დარჩა საჭირო. პირველად ა. დევდარიანის ბინა იქნა გაჩხრეკილი და ყველა დაკარგული ნივთები მის ოთახში იბოვესო“ და სხვა.

ამ საქმის გამო შემდგარმა სამედიატორო სასამართლომ უკვე დაამთავრა საქმის წარმოება და შემდეგი გამოარკვია:

1) ნივთების დაკარგვას იქ, სადაც ა. დევდარიანი მუშაობდა, ადგილი ჰქონებია.

2) მუშების მიერ არჩეულ კომისიას აღმოუჩენია დაკარგული ნივთები ნაწილობრივ ა. დევდარიანის, ნიკოლა ჭყოიძის და ბარნაბა დევდარიანის ბინებზე.

3) ა. დევდარიანი მუშათა მოძრაობაში და გაფიცვებში მონაწილეობას არ იღებდა და მოწინავე მუშებთან არავითარი განწყობილება არა ჰქონია.

4) ა. დევდარიანი გაძევებულ იქნა დარკვეთის რაიონიდან თანახმად მუშების დადგენილებისა.

სამედ. სასამართლოს თავმჯდომარე **ნ. იორაშვილი.** მედიატორენი: **ვ. ბოხოხაძე, ა. თოდრია, ნ. კიკნაძე.**

წერ. რედაქციის მიმართ

ღია წერილი ბ. ვალიკო ჯუღელს.

დღეს დავბრუნდი ტყვეობიდან (რუსეთიდან) ბათუმში, მინდოდა თფილისს წამოსვლა, მაგრამ აქ დამხვდა ჩემთვის თავზარდამცემი ამბავი: ვითომ მოხალისეებთან ტყვეობის დროს მე მეღალატნოს ჩემი სამშობლოს და ამხანაგებისათვის. რადგან ამ ხმებს გაწერენ თქვენ, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ მაცნობოთ ღია წერილითვე ჩვენი პრესის საშუალებით, რა დანაშაული მიმიძღვის სამშობლოს წინაშე, რომ მოღალატის სახელით მოგინათლივართ.

ყოფილი ბაგრის პორტის უფროსი პორუჩიკი **გ. ვაჩნაძე**, ბათუმი, სასტუმრო „ვერდენი“ (სვიატოპოლკმირსკის ქ.)

24 ივნისი, 1919 წ.

პასუხი ბ-ნ გ. ვაჩნაძეს.

ბ-მა გ. ვაჩნაძემ, რომელიც ჩვენ მიერ იყო გაგრის „პორტის“ უფროსათ დანიშნული, ვერ გაამართლა ჩვენი ნდობა. „დობროვოლცების“ შემოსევის დროს მას არამც თუ არ გამოუჩენია არავითარი აქტიურობა მათ წინააღმდეგ, არამედ—იმ დროს, როცა ყველა ჩვენი აფიცრები დაატუსაღეს, ბ. ვაჩნაძე თავისუფლად დასეირნობდა.

არ ვიცი რა ჰქვია ამას—ღალატი, სიმდაბლე, თუ „რომანტიზმი“.

ვალიკო ჯუღელი.

მოქალაქე რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „ერთობაში“ ამ ჩემს განცხადებას.

მე, როგორც ყველას მოეხსენება, სულგრძელმა გურიის რევოლიუციონურმა და თავისუფლების მაძიებელმა ხალხმა მაპატია ყველა ის დანაშაული, რაც მე მათ წინაშე მიმიძღოდა. რომ ხალხს ჩემი დასჯა სდომოდა, მე დამსჯიდა ჯერ კიდევ რევოლიუციის პირველ დღეებში. თათრების შემოსვლის დროს ხალხი ოზურგეთიდან გაიხიზნა, მე კი არსად წავსულვარ. ეს ზოგიერთებმა სამშობლოს მოღალატეობასა და თათრების მიდგომაში ჩამითვალეს. თათრების გასვლის შემდეგ მე იძულებული შევიქენი სამშობლოდან გავხიზნულიყავი, რათა მსხვერპლი არ გავმხდარიყავი ვისიმე პროვოკაციისა. რომ შიმშილით არ მოვმკდარიყავი, შევედი ქობულეთში დამოუნის უბრალო მოხელედ. ეს დაწესებულება, ვფიქრობდი, იყო ინგლისის მთავრობისა. მაგრამ, როგორც ეხლა ვხედავ ამ დაწესებულებაში ხელი ჰქონია შავ გენერალს დენიკინსაც. როგორც ასეთს, წყევლითა და კრულვით ვსტოვებ რა ამ დაწესებულებაში სამსახურს, და სამუსლიმანო საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს მივმართე შუამდგომლობით, რომ ჩემ სამშობლოში დაბრუნება, უვნებლათ რომ ვიყო იმ მავნე პროვოკატორებისაგან, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის და სამშობლოს მოღალატე თავიდან ბოლომდინ არიან. და ყოველ შესაძლებლობის დროს მზად ვარ მხარი დავუჭირო და ვემსახურო მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკას. და ერთხელ კიდევ წყევლითა და კრულვით ვიხსენიებ საქართველოს წინააღმდეგ მომავალ ძალას.

დიმიტრი მგელაძე.

ვსთხოვ ყველა ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი. **დ. მგელაძე.**

რედაქციისაგან: ვბეჭდავთ რა დიმიტრი მგელაძის წერილს სრულიად უცვლელად, საჭიროდ მიგვაჩნია დავსძინოთ შემდეგი: ის სულგრძელი და თავისუფლების მაძიებელი ხალხი, რომელმაც აპატივა დიმიტრი მგელაძეს ყოველი დანაშაული, დარწმუნებული ვართ, არ დასჯის მას **მხოლოდ** იმიტომ, რომ ის ლუკმა პურისთვის ქობულეთის საბაჟოში მსახურობდა.

ფოსტა

ახალსენაკში, შ. დგებუაძეს. ცნობა ლიტერებით ბოროტმოქმედების შესახებ ამოღებულია დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის ოფიციალური საბუთებიდან. თქვენ მიერ ხელმოწერილი ლიტერით ცამეტი გარეშე კაცი გამგზავრებულა თფილისიდან სენაკში და არა ფოთში სენაკიდან, როგორც თქვენ სწერთ. სამხედრო კომისიის მდივანს ზ. გურულს უკვე გამოუგზავნია თქვენთვის ამის შესახებ შეკითხვა. ამ[illegible] ... დაბეჭდვა ნაადრევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებანი

განცხადება

ქალაქ სამტრედიაში ვყიდი ყოველ გვარ მოწყობილებას

ერთი აფთიაქისათვის.

შკაფებს, შტანგლაზებს, სასწორებს გირებით და სხვა მოწყობილებას მსურველს. შეუძლია იყიდოს წამლებიანათაც, მისამართი ქ. სამტრედია ფარმ. ალ. მელქაძესთან. (5—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სალენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი ქალი **რ. ბ. შიშლო-საბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებ. სამშაბათობით და შაბათობით დილ. 8—10 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

დოქტორი **მ. გოლდშტეინი**

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი **დ. ვ. ჯავახიშვილი**

გადავიდა ახალ ბინაზე და იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილას 8—9 ს. და საღამოს 4—7 საათამდის, მიხეილის პროსპექტი № 64, ტელეფონი 14—60.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი **მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

ექიმი **ლ. ი. ცაგარელი**

შინაგანი სნეულებანი. იღებს ავათმყოფებს საღ. 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ექიმ **კ. თ. ფყეშელაშვილის**

საექიმო კაბინეტი. ვენერიული, კანის, სიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) და სხვა ავათმყოფობანი საშარდე და სასქესე ორგანოთა. ფოსტის ახლოს, კუთხე მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩებისა, შესავალი აფთიაქის პირდაპირ საღამოობით 5 ნახ.—7 საათ.

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.